სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/15

(ოქმი N9)

ქ. ბათუმი 09 აგვისტო 2016 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (ტელევიზიის ნაწილში) 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ 2016 წლის 14 ივლისის N01-01/13 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის $35^9$ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' და ,,კ'' ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-121 მუხლების (საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, თავი IX) თანახმად:

1. ცვლილება შევიდეს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (ტელევიზიის ნაწილში) 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ 2016 წლის 14 ივლისის N01-01/13 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: გადაწყვეტილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge''.

3. გადაწყვეტილება ძალაშია 2016 წლის 09 აგვისტოდან.

დანართი:

1. ინფორმაცია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ).

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

რუსუდან იმედაიშვილი

დანართი 1

## ინფორმაცია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

## (ცნობა საჯარო განხილვისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ)

ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისამართი - სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" (მის: ქ. ბათუმი მ. აბაშიძის ქ. N41).

ადმინისტრაციული ორგანო, სადაც შესაძლებელია ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა - სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" (მის: ქ. ბათუმი მ. აბაშიძის ქ. N41).

- სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს მიერ 2016 წლის 14 ივლისს N01-01/13 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშრებით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის $35^{9}$ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" და ,,კ"ქვეპუნქტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-121 მუხლები (საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, თავი IX).

**საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა -** ყველას აქვს უფლება, წარმოადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება 2016 წლის 14 ივლისიდან 20 დღის განმავლობაში როგორც წერილობით ასევე ელექტრონული ფორმით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა - 2016 წლის 15 აგვისტო.

დაინტერესებული პირი საკუთარი მოსაზრების წარდგენისას უფლებამოსილია არ მიუთითოს თავისი ვინაობა. მოსაზრება შესაძლებელია ასევე მოწოდებული იქნას შემდეგ ელექტრონული მისამართის მეშვეობით: mrcheveltasabcho@mail.com